ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბასთუმანში ავტოსადგურისა და ღია ავტოსადგომის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

პუნქტი 1.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბასთუმანში ავტოსადგურისა და ღია ავტოსადგომის მშენებლობის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურება.

პუნქტი 1.2. მომსახურების აღწერა და ტექნიკური დავალება

1.2.1.პროექტის მოკლე აღწერა

წინამდებარე დავალება მოიცავს სოფელ აბასთუმანში ავტოსადგურისა და ღია ავტოსადგომის საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადებას. პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე სამშენებლო მასალების გამოყენება. პროექტი უნდა მოიცავდეს ზოგად ინსტრუქციებს, რეკომენდაციებს და გამოსაყენებელი მასალის დეტალურ სპეციფიკაციებს, რის საფუძველზე მშენებლობისას, შესაძლებელი გახდება მუშაობის მეთოდის, გამოყენებული მასალის და ხარისხის გაკონტროლება.

კონსულტანტი ვალდებულია მოამზადოს ავტოსადგურის, ღია ავტოსადგომისა და ხიდის (ან ხიდების) დეტალური პროექტი, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების, ასევე ევროსტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

1.2.2. საპროექტო ტერიტორიის აღწერა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბასთუმანში (ნაკვეთების საკადასტრო კოდები და რუკა მოცემულია დანართში);
ღია ავტოსადგომისა და ავტოსადგურის შენობის პროექტირებისას უნდა მომზადდეს სრული სამშენებლო პროექტი და სანებართვო დოკუმენტაცია.

კონსულტანტმა, პროექტირებისას ახალი დასაპროექტებელი ხიდის (ან ხიდების) მდებარეობის გათვალისწინებით, უნდა განსაზღვროს ავტოსადგურის მდებარეობა საპროექტო ტერიტორიაზე. ასევე შეადგინოს ავტოსადგომზე ცენტრალური გზიდან შემავალ-გამომავალი გზების და შიდა ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის სქემა. პარკინგის შესასვლელთან (შესასვლელებთან) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესაბამისად ცენტრალური გზის გაფაროების სქემა უსაფრთხო საგზაო კვანძის (კვანძების) დაპროექტების მიზნით.

1.3. ტექნიკური დავალება

1.3.1 გასაწევი მომსახურების მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები.

დავალების ფარგლებში უნდა დამუშავდეს მიწის პირზე ბეტონის საფარიანი (ორმაგი არმირებით) ავტოსადგომის პროექტის სრული სამშენებლო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს არქიტექტურულ, კონსტრუქციულ, შიდა გაყვანილობების, ქალაქის ქსელებზე დაერთების, ტერიტორიის კეთილმოწყობის, დაგეგმარების პროექტებს და ა.შ. ბეტონის საფარის ზედაპირი არ უნდა იყოს პრიალა და უსაფრთხო უნდა იყოს გადაადგილება ზამთრის პერიოდში.
პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული რაიონის დამახასიათებელი კლიმატური ფაქტორები და შესაბამისი დატვირთვები შენობაზე, რომელიც განისაზღვრება

სამშენებლო ნორმების და წესების „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01.05-08) მონაცემების საფუძველზე.
შენობის საძირკვლების და კონსტრუქციული ელემენტების დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო ნორმების და წესების ,,სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09), ,,შენობების და ნაგებობების ფუძეები” (პნ 02.01-08) მოთხოვნები.

სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობად მიღებული უნდა იყოს 8 ბალი;
შენობიდან თბოდანაკარგების შემცირების მიზნით, პროექტი უნდა მოიცავდეს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს, გათბობა-კონდიცირების, ვენტილაციის და განათების სისტემების ენერგოდამზოგველ გადაწყვეტებს.
გადახურვის და კედლის იზოლაცია - შემოთავაზებული უნდა იქნას კლიმატური პირობების შესაბამისად. დამათბუნებელი არ უნდა იყოს აალებადი და ცეცხლის გადამცემი.
ძირითადი და დამხმარე კარკასების გაანგარიშებაში გათვალისწინებული უნდა იყოს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სამშენებლო ნორმების და წესების СНиП 2.01.07-85 და СНиП II-23-81 მოთხოვნები.

პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს მოქმედი სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- საქართველოს მთავრობის დადგენილება N57 2009 წლის 24 მარტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №63 2017 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების “დამტკიცების თაობაზე;
- СП 118.13330.2012 Общественные Здания и Сооружения;
  - СНиП 2.05.02-85*. Автомобильные Дороги;
  - СНиП 21-02-99. Стоянки Автомобилей;

- Interior Graphic Standards Second Edition Corky Binggeli, ASID Editor-in-chief The Magnum Group Illustrator John Wiley & Sons, INC;
- The Architects’ Handbook. Edited By Quentin Pickard, RIBA.
- Metric Handbook, Planning and Design Data. Edited by David Adler. Second edition (as *Metric Handbook*) 1999.
- Ernst and Peter Neufert, Architect’s Data. Third Edition, Blackwell Science.
- Offices Construction and Design Manual Ansgar Oswald With an introduction by Hajo Eickhoff
- Spaces for Innovation Kursty Groves and Oliver Marlow

საინჟინრო კომუნიკაციების პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნები (მაგრამ არ შემოიფარგლება):
- СНиП 41-01-2003 Отопление, вентиляция и кондиционирование
- СНиП 2.04.01-85* Внутренний водопровод и канализация зданий
- СП 31-110-2003 Проектирование и монтаж электроустановок жилых и общественных зданий;
- ПУЭ Правила устройства электроустановок;
- СП 1.13130.2009, СП 2.13130.2012, СП 4.13130.2009. Системы Противопожарной Защиты.
- СП 52.13330.2011. Естественное и искусственное освещение Актуализированная редакция СНиП 23-05-95*;
- NFPA (National Fire Protection Association) Codes and Standards;

პროექტის შედგენისას გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტერიტორია და შენობა ადაპტირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უპრობლემოდ გადასაადგილებლად („შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის“, ასევე „ინკლუზიური ტურიზმის სახელმძღვანელო უნივერსალური დიზაინის მოთხოვნები“ -ს და „Accessible Architecture Construction and Design Manual“ Edited by Philipp Meuser-ს შესაბამისად).

კონსულტანტმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

- საპროექტო სივრცეების დეტალური რეკომენდაციები და მოთხოვნები დამუშავდეს მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ნაგებობების გარე იერსახე სასურველია ეხმიანებოდეს არსებულ გარემოს;
- კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს საპროექტო ტერიტორიის სპეციფიკა, ტერიტორიაზე მისასვლელი გზები და შესაბამისად დაგეგმოს ავტოსადგომების განლაგება და მდებარეობა;
- გასათვალისწინებელია პარკინგის შესასვლელთან (შესასვლელებთან) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესაბამისად ცენტრალური გზის გაფართოების სქემა უსაფრთხო საგზაო კვანძის (კვანძების) დაპროექტების მიზნით.
- კონსულტანტმა ასევე უნდა დააპროექტოს სახიდე გადასასვლელი (გადასასვლელები) მდინარე ოცხეზე. ხიდის(ხიდების) საორიენტაციო ზომა, დაახლოებით 22X10 მ-ზეა (ერთი ხიდის ადგილმდებარეობა მონიშნულია დანართში სიტუაციურ გეგმაზე, ხოლო აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია დაპროექტდეს მეორე ხიდი, რომლის ადგილმდებარეობა კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს);
- პროექტის მომზადების პროცესში კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ან/და მაქსიმალურად თავიდან იქნეს აცილებული პროექტის ზემოქმედება კერძო საკუთრებებთან.
- მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი გარემოზე ზემოქმედება. გამოყენებული მასალები უნდა იყოს პრაქტიკული, მარტივად დასამუშავებელი და ეკოლოგიურად სუფთა.
- კონსულტანტმა პროექტის შემუშავების ყველა ეტაპზე უნდა გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოსდაცვითი მოთხოვნები, მათ შორის ადრეულ ეტაპზევე მოახდინოს იდენტიფიცირება ყველა განსახორციელებელი ღონისძიების და საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს შესაბამისი გარემოსდაცვითი დოკუმენტები კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, დამატებით კონსულტანტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
  - მოკლე ინფორმაცია კლიმატური პირობების შესახებ;
  - მცენარეული საფარისა და ფლორის სახეობების აღწერა, იდენტიფიცირება წითელი ნუსხით დაცული სახეობების ბოტანიკური და ზოოლოგიური კვლევის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ ქვე-პროექტის ფარგლებში საჭირო გახდება ხეების მოჭრა, კონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს ხეების მოჭრის ნებართვის მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაცია და ხეების აღრიცხვის უწყისი; საჭიროების შრემთხვევაში, შეათანხმოს შესაბამისს უწყებებთან ნებართვის მისაღებად.
  - პოტენციური ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება ზედმეტი მასალების/გრუნტის, სამშენებლო ნარჩენების განთავსება, მოკლე აღწერა შემოთავაზებული ადგილების (საკადასტრო ინფორმაციის ჩათვლით) და რუკა;
  - ქვიშა-ხრეშის, ქვის და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ბუნებრივი მასალების უახლოესი კარიერების ადგილმდებარეობა;
  - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციის თაობაზე;
  - ინფორმაცია უახლოესი არქეოლოგიური უბნების ადგილმდებარეობის შესახებ.

- კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა უნდა აკმაყოფილებდეს სიმტკიცისა და მდგრადობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს მის უსაფრთხო ექსპლუატაციას ნორმებით გათვალისწინებულ დატვირთვებზე (მათ შორის სეისმურ დატვირთვაზე).
- კონსტრუქციული სქემა უნდა იყოს ოპტიმალური და გამორიცხავდეს მასალის გადახარჯვას მოცემული დატვირთვებისა და ზემოქმედებებისათვის.
- ობიექტის ენერგო რესურსებით უზრუნველყოფა უნდა მოხდეს მაქსიმალურად ეფექტურად;
- საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყოს ობიექტის მინიმალური საექსპლუატაციო მოვლა-პატრონობის ხარჯები;

საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ღია ავტოსადგომის დაპროექტება 1000 მანქანაზე (თუმცა გეგმარებიდან გამომდინარე, რის საფუძველზეც ლოგიკურად შეიძლება გაუმჯობესდეს ავტოპარკინგის ფუნქციონირება, შესაძლებელია ავტოსადგომის ადგილების რაოდენობის კორექტირება - მეტობისკენ ან ნაკლებობისკენ). აქედან:
- 200 ავტოსადგომი, განკუთვნილი ელექტრო მანქანებისთვის, სადაც მომავალში დაპროექტდება 22kW ან მეტი სიმძლავრის სატენი პორტალები, მათ შორის 100 ავტოსადგომი ელექტრო მანქანებისთვის უნდა იყოს გადახურული;
- შენობა ტრასფორმატორის, ელექტრო გამანაწილებლებისა და ამომრთველებისათვის დაახლოებით 60 მ^2 ფართის (შეიძლება განხილული იყოს ცალკემდომი შენობა პარკინგის ტერიტორიაზე ან ავტოსადგურის შენობის შემადგენლობაში, შესაბამისი ტექნიკური ნორმების დაცვით), ასევე საკაბელო არხები, გარდამქმნელებიდან სატანფორმატორომდე და დამტენ მოწყობილობებთან დასაკავშირებლად, ზომებით დაახლოებით 80X80 სმ.
- 10 ავტობუსის ავტოსადგომი (12 X 2.55 X 3.81 coach busses);
- ავტოსადგომის ტერიტორიაზე შესასვლელ/გამოსასვლელი გზების მოწყობა, შესაბამისი ინფრასტუქტურით, ნაგებობებით/კონსტრუქციებით. ასევე უნდა მოხდეს ცენტრალურ სამანქანო გზასთან ავტოსაგომის დაკავშირება ახალი ხიდით (ხიდებით) ისე, რომ არ გაწყდეს კავშირი საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ გრუნტის გზასთან.
- სატრანსპორტო სქემის მოწყობა, ავტოსადგომის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების ოპტიმალური გადაწყვეტა;
- სამანქანო შესასვლელი შლაგბაუმით/ბოლარდებით (ავტომატური, მიწაში ჩამავალი);
- საფეხმავლო შესასვლელი და გასასვლელი;
- ავტოსადგომის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკები (გამოყოფილი მანქანის სავალი ნაწილიდან);
- შესასვლელში და გასასვლელში ბილეთების შესაძენი და დასარეგისტრირებელი აპარატები;
- საკონტროლო დაცვის ჯიხური;
- საზოგადოებრივი სან-კვანძების მოწყობა ავტოსადგომის ტერიტორიაზე (საპირფარეშო გათვლილი უნდა იყოს მამაკაცებისთვის, ქალებისთვის და შშმ პირებისთვის);
- მცირე არქიტექტურული ფორმების მოწყობა (სარეკლამო ბანერი, სანაგვე ურნები, სკამები და ა.შ.);
- მცირე სადგურის მოწყობა მოსაცდელი მინიმუმ 150 ადამიანზე მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა შიდა სივრცის გათვალისწინებით (მაგ.: ოფისი სადგურისა და ავტოსადგომის მენეჯმენტისთვის, ბილეთების სალარო(ები), საერთო მოსაცდელი სკამებით და განრიგის ამსახველი ეკრანებით, აღჭურვილი აუდიო სისტემით, ხმოვანი მითითებების გამოსაცხადებლად, საპირფარეშოები ფასიანი შესასვლელი აპარატით, გასახდელი პერსონალისთვის ინდივიდუალური სან. კვანძით და საშხაპე კაბინით.). სადგური

მოემსახურება საზოგადოებრივ ტრანსპორტს სტუმართა გადასაყვანად ავტოსადგომიდან დაბა აბასთუმანში და ასევე ავტოსადგომიდან საქართველოს სხვა რეგიონებში;

- ტექნიკური შენობ(ებ)ის მოწყობა (რომელიც/რომლებიც მოემსახურება საოფისე შენობას, ავტოსადგომის გარე განათებას, დაცვის ჯიხურს, დაცვის სისტემებს და ა.შ.);
- დახურული სადგომი/საწყობი (ავტოსადგომის ტერიტორიის მომსახურებისთვის საჭირო ინვენტარისა და მანქანა-მექანიზმების განთავსებისთვის);
- ავტოსადგომის შიდა ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობა (ლამპიონები, მიწაში ჩამაგრებული სანათები და ა.შ.);
- ავტოსადგომის ტერიტორიის დახაზვა და მიმართულების და ზოგადი მანიშნებლების მოწყობა;
- ავტოსადგომის შიდა ტერიტორიაზე და მთელ პერიმეტრზე დაცვის სისტემების და კამერების მოწყობა;
- გამწვანება (ტერიტორიის კ-3 კოეფიციენტის შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სადრენაჟე სისტემა;
- სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა (საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების მიხედვით);

პროექტში უნდა იყოს გათვალისწინებული

- ავტოსადგომის გამართული ფუნქციონირებისთვის სეზონური ხასიათის აღჭურვილობების მონტაჟის ან ტერიტორიაზე შესაბამისი ტექნიკის შეყვანის შესაძლებლობა;
- კომპლექსური კეთილმოწყობის ელემენტების გამოყენება: ტერიტორიის კეთილმოწყობა, მცირე არქიტექტურული ფორმების მოწყობა, ელემენტების მხატვრული განათება და ღამის განათება;
- აღჭურვილობის, მცირე არქიტექტურული ფორმების, მოსაპირკეთებელი მასალების და გამწვანების ელემენტების შერჩევა უნდა მოხდეს ერთიანი კონცეფციის საფუძველზე, შეესაბამებოდეს თანამედროვე რეკრეაციული სივრცის იერსახის მოთხოვნებს, იყოს ანტი-ვანდალური და მდგრადი ადგილობრივი კლიმატური პირობების მიმართ. საბოლოო პროექტში წარმოდგენილი უნდა იყოს მასალების სპეციფიკაციები და სერტიფიკატები.

1.3.2. გასაწევი ღონისძიებების ჩამონთვალი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემადგენლობა, თანმიმდევრობა და საპროექტო-სხარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

1.3.3. დოკუმენტაციის მომზადება, კვლევების ჩატარება და ესკიზური პროექტის მომზადება მოიცავს:

- პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების შეფასებას (საჭიროების შემთხვევაში);
- მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის ან/და მიწის ნაკვეთების გამიჯვნისათვის საჭირო საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადებას. (საჭიროების შემთხვევაში);
- საკადასტრო ინფორმაციას;
- ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარებას;
- არსებული საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელებზე ინფორმაციას (საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე (საჭიროების შემთხვევაში);
- ტერიტორიაზე გამავალი მდინარის კალაპოტის შესწავლას;

- შესასვლელ-გამოსასვლელი და შემოსავლელი გზების მარშრუტების განსაზღვრას;
- საპროექტო გზების დონეების განსაზღვრას;
- სამშენებლო ნარჩენების დროებითი განთავსება-დამუშევების მეთოდების ანალიზს;
- გრძივი და განივი კვეთების დამუშავება;
- ობიექტის გენერალური გეგმის ესკიზის დამუშავებას;
- შენობა-ნაგებობის ესკიზური გეგმების დამუშავებას;
- დასაგეგმარებელი ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობის სამგანზომილებიანი გამოსახულების დამუშავებას (ეგრეთ წოდებული რენდერების მომზადება მაღალი რეზოლუციით);
- ინტერიერის და ფასადების ძირითადი სივრცეების და მოსაპირკეთებელი მასალების სამგანზომილებიანი გამოსახულებების დამუშავებას;
- ესკიზურ პროექტზე დაყრდნობით, ობიექტის ენერგო რესურსებზე, სასმელ წყალზე, კანალიზაციაზე, სატელეფონო-სატელევიზიო-ინტერნეტ კომუნიკაციებზე მოთხოვნილების განსაზღვრა და განაცხადების მომზადება ტექნიკური პირობების მოსაპოვებლად შესაბამისი სამსახურებიდან;
- დასაგეგმარებელი ობიექტის საინჟინრო ქსელების პროექტირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას და შესაბამისი პირველადი ნახაზების წარმოდგენას.

<u>პრეტენდენტს გადაეცემა</u>: **ტოპოგრაფიული კვლევა (DWG ფაილი); გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევის მასალები/ანგარიშები;**

1.3.4. კონცეპტუალური დიზაინის განვითარება გულისხმობს წარმოებულ კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული ესკიზური პროექტის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემდეგი ნაწილების დამუშავებას:

- არქიტექტურა;
- კონსტრუქციები;
- ინტერიერი;
- ელექტრობა;
- სუსტი დენები;
- სანტექნიკა;
- ტექნოლოგია (საჭიროების შემთხვევაში);
- გათბობა-გაგრილება და ვენტილაცია;
- მშენებლობის ორგანიზაცია;
- გარე ქსელების მიერთების ერთიანი კვანძი;
- სპეციფიკაციები;
- ხარჯთაღრიცხვა;
- ანგარიში ობიექტის საშუალო წლიური საექსპლოატაციო ხარჯების შესახებ.

- კონსულტანტი ვალდებულია წარმოადგინოს ღია ავტოსადგომის და ავტოსადგურის შენობის მოწყობის, ხიდის (ხიდების), ცენტრალური გზის გაფართოების და ავტოტრანსპორტის ავტოსადგომზე შესასვლელად უსაფრთხო მოძრაობის კვანძის მოწყობის მინიმუმ 2 კონცეპტუალური შემოთავაზება, ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე მიღებული არქიტექტურულ-დიზაინერულ-კონსტრუქციული გადაწყვეტა ადეკვატური დასაბუთებით და განმარტებითი ნაწილით. ყველა კონცეპტურალური ვარიანტი უნდა იყოს სრულყოფილი, ერთმანეთისგან განსხვავებული, დამოუკიდებელი ერთეული. დეტალური პროექტის დასამუშავებლად სხვადასხვა უწყებებს შორის მსჯელობის შედეგად შეირჩევა ერთი კონცეპტუალური ვარიანტი.

1.3.5. საბოლოო დეტალური პროექტის დამუშავება გულისხმობს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას შერჩეული კონცეპტუალური ვარიანტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც განხორციელდება სამშენებლო სამუშაოები. ამ დოკუმენტაციის მინიმუმალური ჩამონათვალი მოცემულია 1.3. პუნქტში. ამ ეტაპის მიმდინარეობისას, პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის მისაღებად საკმარისი დოკუმენტაციის პაკეტის დასრულებისთანავე, ეს უკანასკნელი უნდა გადაეცეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს (შესათანხმებელი მასალის ჩამონათვალი უნდა დაზუსტდეს კონკრეტულ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში). სტანდარტულად ნებართვების მოსაპოვებლად აუცილებელი პაკეტის შემადგენლობაა:

- არქიტექტურა;
- კონსტრუქციები;
- ინტერიერი;
- ელექტრობა;
- სუსტი დენები;
- სანტექნიკა;
- გათბობა-გაგრილება (გაზზე მომუშავე ქვაბით) და ვენტილაცია;
- მშენებლობის ორგანიზაცია;
- გარე ქსელების მიერთების ერთიანი კვანძი (ტექნიკური სათავსო);
- სპეციფიკაციები;
- ხარჯთაღრიცხვა;
- ანგარიში ობიექტის საშუალო წლიური საექსპლოატაციო ხარჯების შესახებ.

1.3.6. მომსახურება ადგილობრივ სახელისუფლებო და კომუნალურ ორგანოებთან ურთიერთობაში მოიცავს:

- დოკუმენტაციის მომზადებას ტექნიკური პირობების მოსაპოვებლად კომუნალური მომსახურების ორგანიზაციებიდან (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, სასმელი წყალი, ტექნიკური წყალი, აგრეთვე, სხვა საკომუნიკაციო მომსახურება საჭიროების შემთხვევაში) და შესაბამისი ტექნიკური კონსულტაციების გაწევას დამკვეთისათვის;
- პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია საჭირო იყოს პროექტის შეთანხმება ადგილობრივ თვითმმართველობასთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან. ამ შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს და დაკომპლექტდეს მშენებლობის ნებართვის მისაღებად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1.4. სრული საპროექტო დოკუმენტაციის შინაარსი.

საბოლოო ტექნიკური დიზაინის შესაბამისი სრული საპროექტო დოკუმენტაციის ნაწილები და ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ:

<u>არქიტექტურა:</u>

- არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, როგორც გენერალური გეგმის, ასევე ცალკეული შენობება-ნაგებობების შესახებ(დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი იხილეთ თავი IV);
- ობიექტის სიტუაციური გეგმა წვრილ მასშტაბში ქალაქის ინფრასტრუქტურის ჩვენებით მასშტაბი (1:5000 ან 1:10 000);
- ობიექტის გენერალური გეგმა მსხვილ მასშტაბში საჭიროების შემთხვევაში (1:200ან1:500);
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის/ების სამ განზომილებიანი მაღალი ხარისხის ვიზუალიზაცია (ეგრეთ წოდებული რენდერები მაღალი რეზოლუციით)

- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ფუნქციონალური გეგმები სათავსების დანიშნულების მითითებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100)
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობისგრძივი და განივი ჭრილები, მასშტაბი (1:50 ან 1:100);
- შენობა-ნაგებობის სახურავის გეგმები წყლის გადაყვანის ორგანიზების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100), წყალგადამყვანების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები (საჭიროების შემთხვევაში);
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის კედლებისა და ტიხრების მარკირების გეგმები მათი ტიპების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100), კედლებისა და ტიხრების ტიპების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის იატაკებისა და ჭერების მოპირკეთების გეგმები მოპირკეთების ტიპების ჩვენებით, მასშტაბი (1:50 ან 1:100), იატაკებისა და ჭერების ტიპების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის კედლების შიდა მოპირკეთების მარკირების გეგმები მასშტაბი (1:50 ან 1:100), კედლების მოპირკეთების ტიპების ფრაგმენტების დეტალური ნახაზები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20), სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ღიობების მარკირების გეგმები და კარ-ფანჯრების ტიპები მასშტაბი (1:50 ან 1:100), კარ-ფანჯრების ტიპების დეტალური ნახაზები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20) ნაკეთობების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის არქიტექტურული დეტალებისა და კვანძების ნახაზები (კიბეები, მოაჯირები, სახურავის კვანძები და სხვა დეტალები) მასშტაბი (1:5, 1:10 ან 1:20);
- შენობის საევაკუაციო გეგმები მასშტაბი (1:50 ან 1:100);
- ხიდის (ხიდების) არქიტექტურული პროექტი, დეტალური ნახაზები: გეგმა, ფასადი, ჭრილი, (მასშტაბი 1:50, 1:100) დეტალები და კვანძები (მასშტაბი 1:5, 1:10 ან 1:20) სპეციფიკაციების და მასალების მითითებით;

<u>კონსტრუქციები:</u>

- ავტოსადგურის კონსტრუქციული ნაწილის განმარტებითი ბარათი, სადაც აღწერილი უნდა იყოს საპროექტო გადაწყვეტილებები, კონსტრუქციული გადაწყვეტილებების დასაბუთება/სათანადო ანგარიშები, დატვირთვების და საანგარიშო მონაცემების მითითებით.
- კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
- სამუშაოების და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ხიდის (ხიდების) კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები (სქემები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);

<u>ინტერიერი (ავტოსადგურის შენობისთვის):</u>

- ინტერიერის ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დასაგეგმარებელი სივრცეების შესახებ;
- სართულების გეგმები, მასზე ავეჯისა და ინტერიერის დიზაინის სხვადასხვა კომპონენტების ზუსტი ადგილმდებარეობის ჩვენებით (1:50 ან 1:100);
- ჭერის მოპირკეთების გეგმები, ჭერების რეფლექტური გეგმები მასზე ყველა საინჟინრო სისტემის ელემენტებისა თუ სხვა კომპონენტების ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით (1:50 ან 1:100);

- სივრცეების ყველა კედლის განშლები: უნდა ასახავდეს განთავსებული ავეჯის სიმაღლეებს, კედლების მოსაპირკეთებელ მასალებს, სანიტარული მოწყობილობების ადგილებს და სხვა დიზაინერულ ელემენტებს რომლებიც მუდმივად მაგრდება კედელზე (1:50 ან 1:100);
- მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია;
- განათების სპეციფიკაცია და რაოდენობა ფოტომასალით;

<u>ელექტროობა:</u>

- ელექტრული ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება როგორც მთლიანად ობიექტის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების ელექტოენერგიაზე მოთხოვნილება (დადგმული და მოთხოვნილი სიმძლავრეების მნიშვნელობები), დაგეგმარებული ელ. ქსელების კატეგორია, ტიპი და ელ.გაყვანილობის მონტაჟის წესი. აქვე უნდა იყოს მოცემული ასევე დამიწების კონტურების (ძირითადი და მეორადი) გაანგარიშება.
- შენობა-ნაგებობების განათების შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ავარიული განათების შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ძალოვანი შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების სადისტრიბუციო და სერვისული ელექტრო ფარების სქემები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ძალოვანი შიდა ქსელების კრიტიკული (საპასუხისმგებლო) ნაწილების და ავარიული განათების ქსელების უწყვეტი კვებით უზრუნველყოფის სისტემების სქემები (უწყვეტი კვების ბლოკები, აკუმულატორები და ა.შ.), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების მთავარი და სერვისული ელ. ფარების, და უწყვეტი კვების წყაროების შეერთების ბლოკ-სქემა.
- შენობა-ნაგებობების ლითონის ნაწილების დამიწების (პოტენციალთა გათანაბრების) კონტურის ნახაზები და შესაბამისი სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები-საჭიროების შემთხვევაში.
- დასაგეგმარებელი შენობა-ნაგებობის ელექტრო უზრუნველყოფაში, განახლებადი ენერგიის გამომყენებელი სისტემების სქემები.
- ობიექტის შიდა-სამოედნო ელ. ქსელების გეგმები (ძალოვანი ქსელი, ტერიტორიის განათება, მეორადი დამიწების ქსელი), საკაბელო ტრანშეების ჭრილები, საკაბელო ჟურნალი, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები
- სარეზერვო კვების გენერატორის სამონტაჟო ნახაზები.
- დამიწების მეორადი კონტურის ნახაზები, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტის მთავარი ფარის სქემა, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტის ელ. მომარაგების საერთო ბლოკ-სქემა (მთავარი მკვებავი ხაზის, ობიექტის მთავარი ელ. ფარის, სათადარიგო გენერატორის, შიდასამოედნო ელ. ქსელების, და შენობა-ნაგებობების სადისტრიბუციო ფარების შეერთების სქემა)
- გარე განათების პროექტი;
- ხიდის (ხიდების) განათების პროექტი.

<u>სუსტი დენები (ავტოსადგურის შენობისთვის):</u>

- სუსტდენიანი სისტემების განმარტებითი ბარათები, რომელშიც მოცემული იქნება
- დაგეგმარებული ქსელების (სატელეფონო, კომპიუტერული, სახანძრო სიგნალიზაციის, დაშვების კონტროლისა და ვიდეომეთვალყურეობის ქსელები) დახასიათება. აქვე იქნება მოცემული შენობებში დაგეგმარებული სუსტდენიანი სისტემების მოთხოვნილება

კავშირგაბმულობის მუნიციპალური ქსელების მხარდაჭერაზე (საჭირო სატელეფონო წყვილების რაოდენობა, ინტერნეტ-კომუნიკაციის საჭირო პარამეტრები);

- შენობა-ნაგებობების შიდა სატელეფონო ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტის და შენობა-ნაგებობების სატელეფონო ქსელების ბლოკ-სქემები;
- ობიექტის შიდასამოედნო სატელეფონო ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა კომპიუტერული ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა კომპიუტერული ქსელების ბლოკ-სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტის და შენობა-ნაგებობების სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების ბლოკ-სქემები. ობიექტის შიდასამოედნო სახანძრო სიგნალიზაციის ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა დაცვითი სიგნალიზაციის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა დაცვითი სიგნალიზაციის ქსელების ბლოკ-სქემები;
- შენობა-ნაგებობების დაშვების კონტროლის შიდა სისტემების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტისა და შენობა-ნაგებობების დაშვების კონტროლის სისტემების ბლოკ-სქემები;
- ობიექტის დაშვების კონტროლის სისტემების შიდასამოედნო ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების ვიდეო-თვალთვალის შიდა ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ობიექტისა და შენობა-ნაგებობების ვიდეო-თვალთვალის ქსელების ბლოკ-სქემები;
- ობიექტების ვიდეო-თვალთვალის შიდასამოედნო ქსელების ნახაზები (მასშტაბი 1:200, 1:500), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;

<u>სანტექნიკა (ავტოსადგურის შენობისთვის):</u>

- სანტექნიკური ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება დაგეგმარებული ქსელების დახასიათება. აქვე მითითებული იქნება როგორც მთლიანად ობიექტის, ასევე ცალკეული შენობა-ნაგებობების მოთხოვნილება სასმელ ცივ და ცხელ წყალზე (დღე-ღამური, წუთობრივი და წამობრივი ხარჯი), და შესაბამისი საკანალიზაციო ჩამონადენების რაოდენობა. მოცემული იქნება ასევე მოთხოვნილება ხანძარქრობისათვის საჭირო ტექნიკურ წყალზეც.
- შენობა-ნაგებობებში სანტექნიკური მოწყობილობების განლაგების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცივი წყალსადენის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცივი წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცხელი წყალსადენის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა ცხელი წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო წყალსადენის ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა სახანძრო წყალსადენის ქსელების აქსონომეტრიული სქემები;
- შენობა-ნაგებობების შიდა საკანალიზაციო ქსელების გეგმები (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შენობა-ნაგებობების შიდა საკანალიზაციო ქსელების აქსონომეტრიული სქემები;

- ცხელი წყლის მოსამზადებელი კვანძის (საბოილერე მეურნეობა) გეგმა და სქემა, სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- დასაგეგმარებელი ობიექტის შიდასამოედნო სანტექნიკური ქსელების (სასმელი წყალი, სახანძრო წყალსადენი, სარწყავი სისტემა, ფეკალური კანალიზაცია, სანიაღვრე კანალიზაცია) გეგმები (მასშტაბი 1:200, 1:500). სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- შიდასამოედნო სანტექნიკური ქსელების გრძივი პროფილები, ტრანშეების ჭრილები, საკონტროლო და საკომუნიკაციო ჭების ნახაზები და სქემები, წყლის ხარჯის გამზომი კვანძის სქემა. სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- სასმელი და სახანძრო წყლის სამარაგო მეურნეობის ნახაზები და სქემები (საჭიროების შემთხვევაში). სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს კანალიზაციის ქსელის გამწმენდი დანადგარი, გაწმენდილი წყლის ჩადინება სანიაღვრ არხების საშუალებით უნდა მოხდეს მდინარეში;
- წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, წყლის ხარჯიდან გამომდინარე შესაბამისი მოცულობის რეზერვუარით.

<u>ტექნოლოგია (საჭიროების შემთხვევაში)</u>

- ტექნოლოგიური ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი;
- სართულებისა თუ ფუნქციონალური ზონირების მიხედვით ტექნოლოგიური გეგმები ავეჯის, ინვენტარის, აპარატურის, მოწყობილობა-დანადგარების ზუსტი განლაგების ჩვენებით;
- ინვენტარის, აპარატურის, მოწყობილობა-დანადგარების სპეციფიკაციები;
- სამგზავრო და სატვირთო ლიფტების (ან ესკალატორი) განთავსების გეგმები, ჭრილები, ტექნოლოგიური სქემები და სპეციფიკაციები (ასეთების არსებობის შემთხვევაში).

<u>გათბობა, გაგრილება, ვენტილაცია (ავტოსადგურის შენობისთვის):</u>

- გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის ნაწილის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება დაგეგმარებული სისტემების დახასიათება. აქვე იქნება მოყვანილი ცნობები სამშენებლო მოედნის მეტეოროლოგიური პირობების, გადამღობი კონსტრუქციების (იატაკები, კედლები, სახურავი, კარ-ფანჯრები და სხვ.) თბოსაიზოლაციო თვისებების და თბურ ენერგიასა (სითბო/სიცივე) და სუფთა ჰაერზე შენობის საერთო მოთხოვნილების შესახებ. განმარტებითი ბარათის დანართის სახით, მოცემული იქნება მთავარი შენობის თბოდანაკარგების, თბოშენაკადების და საჭირო სუფთა ჰაერის რაოდენობის კალკულაციის ცხრილები.
- მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის აქსონომეტრიული ან 3D სქემები;
- მთავარი შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის გამანაწილებელი კოლექტორების სქემები;
- მთავარი შენობის ვენტილაციის სისტემის გეგმები (მასშტაბი 1:50, 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- მთავარი შენობის ვენტილაციის სისტემის აქსონომეტრიული ან 3D სქემები;
- სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის გეგმა (მასშტაბი 1:50 ან 1:100), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები (საქვაბისა და ჩილერების ანსათავსებელი პლატფორმის აღჭურვა);
- სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის აქსონომეტრიული ან 3D სქემა.
- შიდასამოედნო თბოქსელის ნახაზები (საჭიროების შემთხვევაში), სამუშაოებისა და მასალების რაოდენობრივი სპეციფიკაციები;
- სავენტილაციო დანადგარები აუცილებლად შერჩეული უნდა იქნეს ენერგოეფექტური, რომელშიც იქნება დამონტაჟებული რეკუპერატორი.

- შიდა გათბობა გაგრილების ხელსაწყოდ მიღებულ უნდა იქნეს მაღალი დონის ფანკოილები, ან სხვა რაიმე იგივე პირობების შემცველი შიდა ხელსაწყოები.
- ყველა შიდა ხელსაწყო უნდა უზრუნველყოფდეს მინიმალურ ხმაურის დონეს. იქნება ეს ცხაურები, ფანკოილები, დიფუზორები თუ სხვა.
- შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამის რაოდენობის რადიატორებით.

<u>მშენებლობის ორგანიზაცია:</u>

- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის, ენერგო, მატერიალურ და შრომით რესურსებზე, სასაწყობო და საყოფაცხოვრებო ფართებზე მოთხოვნილების შესახებ. განმარტებით ბარათში მოყვანილი იქნება აგრეთვე აუცილებელი უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებანი.
- სამშენებლო გენერალური გეგმა (მასშტაბი 1:500) დროებითი შენობა-ნაგებობების (ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დროებითი შენობები, დროებითი დახურული საწყობები და ღია სასაწყობო მოედნები, დროებითი გზები და სამშ. ტექნიკის სამანევრო მოედნები, დროებითი ელექტრო და წყალსადენის ქსელები, ტერიტორიის განათება და სხვ.) ჩვენებით.
- ობიექტის მშენებლობის კალენდარული და ფინანსური გრაფიკი.

<u>სპეციფიკაციები:</u>

- გამოყენებული სამშენებლო მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობების და დანადგარების ხარისხობრივი მახასიათებლების დეტალური აღწერა;
- სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროცესების თანმიმდევრობითი დეტალური აღწერა ტექნოლოგიური თავისებურებების მითითებით, მათი შესრულების ხარისხობრივი კონტროლის განხორციელების მიზნით;
- ტესტირებას დაქვემდებარებული სამშენებლო მასალების, პროცესების და მოწყობილობადანადგარების გამოსაცდელი რეჟიმის და თანმიმდევრობის დეტალური აღწერა;
- სპეციფიკაციების უნდა დამუშავდეს საპროექტო დოკუმენტაციის ყველა ზემოთჩამოთვლილი ნაწილისათვის.

<u>ხარჯთაღრიცხვა:</u>

- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს სამშენებლო ობიექტის სატიტულო სიას, გამოყენებული დოკუმენტების ჩამონათვალს და ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ (გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება, ტერიტორიის მომზადება, დროებითი შენობა-ნაგებობები და სხვა);
- მშენებლობის კრებსითი ხარჯთაღრიცხვა;
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვები;
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით.

<u>ანგარიში ობიექტის საშუალო წლიური საექსპლოატაციო ხარჯების შესახებ:</u>

- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, ბუნებრივი აირის შესყიდვაზე.
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, დიზელის საწვავის შესყიდვაზე ენერგოუზრუნველყოფისათვის ავარიულ რეჟიმში.
- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, სასმელი და ტექნიკური წყლის შესყიდვაზე.
- ძირითადი დანადგარების (გენერატორი, უწყვეტი კვების ბლოკები, გათბობა-გაგრილების და ვენტილაციის სისტემები) მომსახურების საშუალო წლიური ხარჯები.

- ინფორმაცია დასაგეგმარებელი ობიექტის საშუალო წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ, დასუფთავების მომსახურებაზე და სანიტარულ უზრუნველყოფაზე.
- შენობა-ნაგებობების ძირითადი ელემენტებისათვის მიმდინარე შეკეთების პერიოდულობა და მათი ერთდროული ხარჯები.
- შენობა-ნაგებობების სავარაუდო ვარგისიანობის პერიოდის განსაზღვრა კაპიტალურ შეკეთებამდე.
- ინფორმაცია მიწის გადასახადის და სხვა საბიუჯეტო მოსაკრებლების საშუალო წლიური ხარჯების შესახებ.

ტექნიკური სპეციფიკაციები ცალკე უნდა დაერთოს პროექტს და უნდა მოიცავდეს სამშენებლო ტენდერში მონაწილეთათვის/კონტრაქტორისათვის ზოგად მითითებებსა და რეკომენდაციებს. ასევე, დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით) გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობა-დანადგარებისათვის, სამუშაოთა შესრულების/გამოცდის მეთოდებისა და ხარისხის კონტროლისთვის.

- **მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის (წარმოდგენილ უნდა იქნეს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), მიერ მომზადებული საექსპერტო დადებითი დასკვნა პროექტის შემდეგ ნაწილებზე:**

  - ✓ **არქიტექტურა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016 წლის 28 იანვარი);**
  - ✓ **კონსტრუქციები;**
  - ✓ **გეოლოგია;**

შენიშვნა:

გეოლოგიური კვლევის ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

1.5. განსაკუთრებული პირობა

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგი, მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, საჭიროების შემთხვევაში მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში, ასევე ტექნიკური დავალების დანართით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაში.

1.5.1.შემსყიდველის წვლილი

შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს მის ხელთ არსებულ ყველა მასალას, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მომსახურების გაწევისათვის.

პუნქტი 1.6. მომსახურების მიწოდება ფაზების მიხედვით

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული სამუშაოები შედგება 4 (ოთხი) ფაზისაგან:

- I ფაზა - ობიექტის საველე შესწავლა და პროექტის კონცეფციის ჩამოყალიბება (2 ვარიანტი);
- II ფაზა - ესკიზური პროექტის მომზადება;
- III ფაზა - საბოლოო, დეტალური მუშა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- IV ფაზა -სამშენებლო სამუშაოების საავტორო ზედამხედველობა;

1.6.1 I ფაზაში განსახორციელებელი სამუშაოები

- საკადასტრო ინფორმაცია;
- პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების შეფასება (საჭიროების შემთხვევაში)
- მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის ან/და მიწის ნაკვეთების გამიჯვნისათვის საჭირო საკადასტრო აზომვითი ნახაზების მომზადება (საჭიროების შემთხვევაში)
- ტერიტორიის დასაგეგმარებლად, არსებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების, სამართლებრივი აქტების, სამართლებრივი რეჟიმების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოძიება;
- პირველადი ინფორმაცია საინჟინრო ქსელებთან დაკავშირებით-ობიექტის სასმელი წყლით, ელექტროენერგიით, გაზმომარაგების და საკანალიზაციო სისტემებით უზრუნველსაყოფად.
- საპროექტო კონცეფციის ჩამოყალიბება (2 ვარიანტი)

1.6.2 I ფაზაში წარსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია:

- განმარტებითი ბარათი არსებული მდგომარეობის, საპროექტო წინადადების და რეკომენდაციების დეტალური აღწერით.
  - საკადასტრო დოკუმენტაცია (საპროექტო და არსებული მდგომარეობის ტოპოგეგმაზე დატანით, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის გეგმა საკადასტრო საზღვრების, მესაკუთრეების და კოდის მითითებით); აღნიშნული ფაილი მოწოდებული უნდა იყოს ელექტრონულადაც SHP და DWG ფაილში
  - საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა -მ. 1:2000 ან 1:1000;
- პროექტის ტექნიკური და ეკონომიკური ანალიზი, ყველა შესაძლო ალტერნატივის მიმოხილვით. პრობლემებისა და რისკების ანალიზის, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების (მათ შორის ფინანსური მასშტაბების), განხორციელების სავარაუდო მეთოდისა და გრაფიკის განსაზღვრით.
- არსებული სიტუაციის აღმწერი ფოტომასალა.
- საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტოსურათი არსებული მდგომარეობით;
- საპროექტო ობიექტის გენგეგმა (შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო-საფეხმავლო კავშირების, ღობეების, გამწვანების და სხვა ნაწილების დატანით);
- არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები: გრაფიკული და ტექსტური მასალა - გეგმები, ჭრილები, ფასადები;
- არქიტექტურული გადაწყვეტების სადემონსტრაციო გრაფიკული მასალა - გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები, ფოტომასალა;
- საინჟინრო კომუნიკაციების - წყალსადენ-კანალიზაციის, გაზი, ელექტრო სისტემების

სქემები, მათი დატანით ტოპოზე.

- წარმოდგენილ უნდა იქნას ენერგო ეფექტური მასალების გამოყენების გადაწყვეტა;
- კონსულტანტმა პროექტის შემუშავების ყველა ეტაპზე უნდა გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოსდაცვითი მოთხოვნები, მათ შორის ადრეულ ეტაპზევე მოახდინოს იდენტიფიცირება ყველა განსახორციელებელი ღონისძიების და საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს შესაბამისი გარემოსდაცვითი დოკუმენტები (ელექტრონული და მოთხოვნის შემთხვევაში ბეჭდური სახითაც) კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, დამატებით კონსულტანტი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
  - მოკლე ინფორმაცია კლიმატური პირობების შესახებ;
  - მცენარეული საფარისა და ფლორის სახეობების აღწერა, იდენტიფიცირება წითელი ნუსხით დაცული სახეობების ბოტანიკური და ზოოლოგიური კვლევის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ ქვე-პროექტის ფარგლებში საჭირო გახდება ხეების მოჭრა, კონტრაქტორი ვალდებულია წარმოადგინოს ხეების მოჭრის ნებართვის მისაღებად ყველა საჭირო ინფორმაცია და ხეების აღრიცხვის უწყისი; საჭიროების შრემთხვევაში, შეათანხმოს შესაბამისს უწყებებთან ნებართვის მისაღებად.
  - პოტენციური ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება ზედმეტი მასალების/გრუნტის, სამშენებლო ნარჩენების განთავსება, მოკლე აღწერა შემოთავაზებული ადგილების (საკადასტრო ინფორმაციის ჩათვლით) და რუკა;
  - ქვიშა-ხრეშის, ქვის და პროექტის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ბუნებრივი მასალების უახლოესი კარიერების ადგილმდებარეობა;
  - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა კომუნიკაციის თაობაზე;
  - ინფორმაცია უახლოესი არქეოლოგიური უბნების ადგილმდებარეობის შესახებ.

1.6.3. II ფაზა - ესკიზური პროექტი

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

- ავტოსადგურის, ხიდის და ღია ავტოსადგომის არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტის ესკიზური ვარიანტების წარმოდგენა;
- არქიტექტურული განმარტებითი ბარათი;
- სიტუაციური გეგმა და გენგეგმა (მასშტაბი 1:500; 1:1000) ;
- არქიტექტურული ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, დეტალები, კვანძები) – 1:100; 1:50; 1:25;
- ტერიტორიის მოწყობის გეგმები, ჭრილები, დეტალები (1:100; 1:50);
- რენდერები, ფოტომონტაჟი და ფოტომასალა.

1.6.3 III ფაზა განსახორციელებელი სამუშაოები

ჩართულ მხარეებთან და დამკვეთთან შეთანხმებული ესკიზური პროექტის საფუძველზე, მიმწოდებელი მოამზადებს დეტალურ სამუშაო საპროექტო დოკუმენტაციას. აღნიშნულ ფაზაში უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა ის შენიშვნა თუ რეკომენდაცია, რაც დაფიქსირდა წინა ფაზებში საპროექტო მასალებთან დაკავშირებით.

1.6.4 III ფაზა წარსადგენი დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია:

1. განმარტებითი ბარათი (არსებული მდგომარეობისა და პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების აღწერით)

2. საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა - მ:1:1000; 1:2000;
3. გენგეგმა, საპროექტო ობიექტის ტოპოზე დატანით, წითელი ხაზების ჩვენებით მ:1:500; 1:1000;
4. არქიტექტურული სამუშაო ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
5. ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, სატრანსპორტო და საფეხმავლო კავშირების, ავტოპარკინგის, გამწვანების დატანით - გეგმა, ჭრილები, დეტალები, კვანძები (მ. 1:100, 1:50, 1:25). მოსაპირკეთებელი სამუშაოები უწყისები;
6. კონსტრუქციული სამუშაო ნახაზები შესაბამისი გაანგარიშებით (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები (მ. 1:100, 1:50, 1:25);
7. ტექნოლოგიური მოწყობის ნაწილი - სქემები, გაანგარიშებები, დეტალური სამუშაო ნახაზები და სპეციფიკაციები;
8. საინჟინრო ნაწილი: შიდა და გარე ელმომარაგება, კანალიზაცია, წყალმომარაგება, გაზმომარაგება, სანიაღვრე, გათბობა, ვენტილაცია, სუსტი დენები- სისტემები და სხვა (სქემები, დეტალები, კვანძები, სპეციფიკაციები); გარე ქსელების მიერთება. პროექტით გათვალისწინებული ყველა ტექნოლოგიური და ელექტრო მოწყობილობა-დანადგარის საპროექტო მახასიათებლები. მოცემული უნდა იყოს ყველა სისტემის საპროექტო დატვირთვები სათანადო ნორმატივების მითითებით. გამოყენებული დანადგარები და მასალები უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურ ენერგოეფექტურობას.
9. სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი საჭირო მანქანა-დანადგარების ჩამონათვალით, სამუშაოების ჩატარების კალენდარული და სავარაუდო ფინანსური გრაფიკით;
10. ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების უწყისები;
11. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია
12. რენდერები და ფოტომონტაჟი.

1.6.5. IV ფაზა - საავტორო ზედამხედველობა

სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების რეგულარული მონიტორინგი.
- მიიღოს მონაწილეობა საპროექტო გადაწყვეტათა დაზუსტებაში, მუშა დოკუმენტაციის, სამშენებლო მოცულობების და კონტრაქტის სხვა შესაბამისი ცვლილებების მომზადება- შეთანხმებაში.
- შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ჩართოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები (არქიტექტორი, , კონსტრუქტორი და ა.შ) მშენებლობის მიმდინარეობისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში.
- მოამზადოს და პერიოდულად წარუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ანგარიშები.
- სამუშაოების დასრულების შემდეგ, დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (სამუშაო) დღის ვადაში უზრუნველყოს პერიოდულ ანგარიშებზე დაყრდნობით საბოლოო, შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება IV ფაზის (საავტორო ზედამხედევლობა) მიღება-ჩაბარება.

<u>ტექნიკური სპეციფიკაციები</u>

პროექტს ცალკე უნდა დაერთოს ტექნიკური სპეციფიკაციები, რომელიც უნდა მოიცავდეს ზოგად მითითებებს, რეკომენდაციებს და დეტალურ სპეციფიკაციებს (ყველა აუცილებელი სტანდარტის მითითებით). რის საფუძველზე მშენებლობის წარმოებისას, შესაძლებელი გახდება

მუშაობის მეთოდის, გამოყენებული მასალის, მოწყობილობა-დანადგარების, სამუშაოთა შესრულების/ გამოცდის მეთოდების და ხარისხის გაკონტროლება.

პროექტის გრაფიკული ნაწილი

სამშენებლო ნახაზები შესრულებული უნდა იყოს სამუშაო დოკუმენტაციისათვის მოთხოვნილი ნორმების და სტანდარტების შესაბამისად, სათანადო მასშტაბებში და დეტალიზაციით. გრაფიკული ნაწილი უნდა მოიცავდეს ობიექტის სიტუაციურ და გენერალურ გეგმებს. შენობა-ნაგებობების დეტალურ არქიტექტურულ და კონსტრუქციულ ნახაზებს. ელექტრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსების და მიერთების სქემებს, ყველა ზომის, ნიშნულის და ტექნიკური მახასიათებლის მითითებით. ნახაზებზე მოცემული უნდა იყოს სამუშაოთა მოცულობების და მასალათა სპეციფიკაციების ცხრილები. პროექტებს უნდა ახლდეს რენდერები.

1.7. მომსახურების ეტაპების მიწოდების ვადები

1.7.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 (ხუთი)** კვირის ვადაში მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს ობიექტის საველე შესწავლის შედეგებს, ავტოსადგომის, შენობა-ნაგებობების, ხიდის (ხიდების), ცენტრალური გზის გაფაროების და ავტოტრანსპორტის ავტოსადგომზე შესასვლელად უსაფრთხო მოძრაობის კვანძის მოწყობის პროექტის კონცეფციის 2 ვარიანტს, თითოეული ვარიანტისთვის ექსპლუატაციის ხარჯებით;

1.7.2. შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდვლის უფლებამოსილი პირი განიხილავს ობიექტის საველე შესწავლის დოკუმენტაციას და პროექტის კონცეფციას წარმოდგენის თარიღის მომდევნო სამუშაო დღიდან მაქსიმუმ **1 (ერთი)** კვირის განმავლობაში და წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.7.3. პროექტის კონცეფციაზე შენიშვნების და კომენტარების მიღებიდან **4 (ოთხი)** კვირის ვადაში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მეორე ფაზის ესკიზური პროექტის დოკუმენტაციას, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის კონცეფციასთან დაკავშირებით შემსყიდველის კომენტარები და შენიშვნები.

1.7.4. შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდვლის უფლებამოსილი პირი განიხილავს ესკიზურ პროექტს წარმოდგენის თარიღის მომდევნო სამუშაო დღიდან მაქსიმუმ **1 (ერთი)** კვირის განმავლობაში და წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.7.5. შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდვლის უფლებამოსილი პირის მიერ ესკიზურ პროექტთან დაკავშირებით კომენტარების მიღებიდან **5 (ხუთი)** კვირის ვადაში მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს ავტოსადგომის, შენობა-ნაგებობების, ხიდის,(ხიდების) ცენტრალური გზის გაფაროების და ავტოტრანსპორტის ავტოსადგომზე შესასვლელად უსაფრთხო მოძრაობის კვანძის მოწყობის შერჩეული დეტალური პროექტის სამუშაო ვერისას (კონსტრუქციულ, საინჟინრო ქსლების პროექტების და 1.7.4 პუნქტით მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით) და ამ პროექტ(ებ)ის შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის აღებისთვის საჭირო სრულ დოკუმენტაციას;

1.7.6. შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდვლის უფლებამოსილი პირი განიხილავს ავტოსადგომის, შენობა-ნაგებობების, ხიდის, ცენტრალური გზის გაფაროების და ავტოტრანსპორტის ავტოსადგომზე შესასვლელად უსაფრთხო მოძრაობის კვანძის

მოწყობის დეტალური პროექტის სამუშაო ვერსიას (კონსტრუქციული და საინჟინრო ქსლების პროექტების გათვალისწინებით) და წარმოდგენის თარიღიდან მომდევნო სამუშაო დღიდან მაქსიმუმ **1 (ერთი)** კვირის განმავლობაში წერილობით ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიაწვდის მიმწოდებელს კომენტარებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.7.7. შემსყიდველი ან ხელშეკრულებით შემსყიდვლის უფლებამოსილი პირის მიერ დეტალური პროექტთან დაკავშრებით კომენტარების მიღებიდან **3 (სამი)** კვირის ვადაში მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს ავტოსადგომის, შენობა-ნაგებობების, ხიდის, ცენტრალური გზის გაფაროების და ავტოტრანსპორტის ავტოსადგომზე შესასვლელად უსაფრთხო მოძრაობის კვანძის მოწყობის სრულ საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციას.

1.7.8. შემსყიდველი, ან ხელშეკრულებით შემსყიდველის უფლებამოსილი პირი განიხილავს საბოლოო დეტალურ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, გააცნობს მას ყველა ჩართულ მხარეს და მომდევნო სამუშაო დღიდან **2 (ორი)** კვირის განმავლობაში, შენიშვნების არარსებობის შემთხვევაში, აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტს, რომლის საფუძველზეც განხორციელდება საბოლოო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის ჩაბარება.

1.7.9. IV ეტაპის ვადები განისაზღვრება სამშენებლო სამუშოებზე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

პუნქტი 1.8. მომსახურების მიწოდების ფორმა და ადგილი

1.8.1. მომსახურების ყველა ეტაპის ანგარიში წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

1.8.2. ავტოსადგომის საბოლოო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, როგორც ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DWG ან DXF PLN, SHP გაფართოების ფაილი ArchiCAD ან AutoCAD ან Arc GIS, და PDF ფაილი. კომპაქტური დისკებით (CD ან DVD) სახით.), ასევე ბეჭდური ვერსიით მყარი ასლების (A4 და A3 ფორმატში) სახით სამივე ვერსია 4 (ოთხი) ეგზემპლარად ალბომის სახით.

1.8.3. მომსახურების ეტაპის ანგარიში და საბოლოო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იყოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

<u>დანართი :</u>

საპროექტო ტერიტორიის რუკა და საკადასტრო კოდები:



61.12.22.008
61.12.22.494
61.12.22.211
61.12.22.287
Napr
61.12.22.287
61.12.22.254
61.12.22.274
61.12.22.366
61.12.22.355
61.12.22.341
61.00.123
61.12.22.203
61.12.22.423
61.12.22.101
61.12.22.063
61.12.22.411
61.12.22.062
61.12.22.143
Napr
Napr
61.12.22.411
61.12.22.143
61.12.22.030
61.12.22.332
23